მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებულება ქუჩაში მცხოვრებ ბავშვებში

ნინო წეველიძე

სამაგისტრო მაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური სამუშაოს მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოთხოვნის შესაბამისად

სოციალური მუშაობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შორენა საძაგლიშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო წეველიძე 10.07.2020

აბსტრაქტი

ნაშრომში საუბარია ქუჩაში მცხოვრები ბავშვებზე და მათთან დაკავშირებულ ერთ-ერთ მთავარ პრობლემაზე, რასაც მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებულება წარმოადგენს. სხვადასხვა სოციალური თუ ეკონომიკური მიზეზების გამო, მათ უწევთ სახლის დატოვება და ქუჩაში გამოსვლა. დეპრესიული ფონი, ჩაკეტილობა, უნდობლობა ეს ის ძირითადი მიზეზებია, რის გამოც ცდილობენ რეალობისგან მოწყვეტას და იწყებენ მავნე ნივთიერებების მოხმარებას. ინფორმაციის ნაკლებობის გამო მათ არ იციან ის შედეგები, რასაც იწვევს მოხმარება. ასევე მთავარ პრობლემას წარმოადგენს ხელმისაწვდომობა და ნარკოტიკების სახეობები. იქიდან გამომდინარე, რომ მათ აქვთ მძიმე ეკომონიკური მდგომარეობა, ძირითადად ხელი მიუწვდებათ კუსტარულ ნარკოტიკებზე, რაც იწვევს სწრაფ მიჩვევას და ახასიათებს „ტოლერანტობის ზრდა“.

ჩემს მიერ წარმოდგენილი კვლევა არის აღწერითი შესწავლა, რომლის მიზანია საქართველოში ქუჩის ახალგაზრდებს შორის ნარკომანიისა და ალკოჰოლის მოხმარების გავრცელება და მისი შედეგები. ასევე კლასიფიკაცია, იმ ნარკოტიკული საშუალებების, რომლებსაც მოიხმარენ ქუჩაში მცხოვრები ბავშვები. მოხდება კვლევის შედეგების შედარება სხვა ქვეყნების გამოცდილებასთან.

კვლევის შედეგად შემუშავდა რეკომენდაციები, რომელიც ეხება იმ სერვისების და პროგრამებს, რისი გამოცდილებაც მრავალს ქვეყანას აქვს და ახორციელებს წარმატებით.

ნაშრომში განხილულია საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებები ამ მიმართულებით: როგორებიცაა: თერაპიები, დეტოქსი, და ა.შ. ასევე ისეთი პროფესიონალების როლი მათ გამოჯანმრთელებაში როგორებიცაა: თერაპევტები, სოციალური მუშაკები, ნარკოლოგები და ფსიქოლოგები, რომლებიც ეხმარებიან გამოჯანმრთელებაში და შემდგომი პერიოდის გადალახვაში.

საკვანძო ტერმინები: მავნე ნივთიერებები, ინფექციური დაავადებები, ზიანის შემცირება

Abstract

Thesis discusses children living on the streets and one of the main problems associated with them, which is the dependence on harmful substances. For various social or economic reasons, they have

to leave home and take to the streets. Depression, loneliness, mistrust are the main reasons why they try to break away from reality and start consuming harmful substances. Due to the lack of information, they do not know the consequences of consumption. Also the main problem is the availability and types of drugs. According to they have a severe ecomonical condition, they have access to artisanal drugs, which lead to rapid addiction and are characterized by "increased tolerance."

The study presented by me is a descriptive study aimed at spreading drug and alcohol abuse among street youth in Georgia and consequences. Also a classification of drugs used by children living on the streets. The results of the study will be compared with the experience of other countries.

The study developed recommendations for services and programs that many countries have experienced and are successfully implementing.

Thesis discusses the experiences of Georgia and foreign countries in this direction: replacement therapies, detox, etc. Also the role of professionals in their recovery such as: therapists, social workers, narcologists and psychologists who help in recovery and overcoming the subsequent period.

Key terms: Harmful substances, Infectious diseases, Harm reduction

მადლობა

მადლობას ვუხდი თემის ხელმძღვანელს, ქ-ნ შორენა საძაგლიშვილს, რომელიც მაქსიმალურად მეხმარებოდა ნაშრომის წერის პროცესში. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო კვლევით პროექტის “აივ ინფექციის პრევენცია ქუჩასთან დაკავშირებულ ახალგაზრდებთან” ჩართვის შესაძლებლობაში.